გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რიგგარეშე
სხდომის

ო ქ მ ი №13

30 სექტემბერი, 2010 წ. ქ. გურჯაანი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე სირბილაშვილი.

ესწრებოდნენ: ხ. ჭონიაშვილი, გ. ბერიკაშვილი, გ. ენუქიძე,
ა. ზარდიაშვილი, ალ. შანყულაშვილი,
ნ. მურაკაშვილი, შ. გაბახაძე, ივ. ნატროშვილი,
კ. ნაპირელი, ე. ბოკუჩავა, ზ. მახარობლიშვილი,
ი. ჩიტაშვილი, დ. ლიპარტაშვილი, მ. მუღალაშვილი,
პ. ჯოხაძე, პ. გველუკაშვილი, ზ. მინდორაშვილი,
რ. არდაზიშვილი, ნ. ღლიღვაშვილი, ალ. ინანაშვილი,
ბ. ზირაქაშვილი, ალ. ზირაქაშვილი.

მოწვეული სტუმრები: გ. პეტრუზაშვილი – მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
ნ. ქაჩლიშვილი – გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.
/კ. ნაპირელი/
/ნ. ქაჩლიშვილი/

2. საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.
/ივ. ნატროშვილი/

3. ზაქარია იაგანაშვილის მივლინებაში წასვლის შესახებ.
/დ. გოგებაშვილი/

4. ს. ველისციხის ერთ-ერთი ქუჩისთვის აფხაზეთში გმირულად დაღუპილი იოსებ ფხაჭიაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
/დ. გოგებაშვილი/

ალ. სირბილაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას ყოველთვის თან ახლავს ცვლილებების შეტანა

სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმაში. ეს კი, არაა დღის წესრიგში ცალკე საკითხად შეტანილი, რაც აუცილებლად უნდა იქნას განხილული.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
სხდომამ იმუშაოს წარმოდგენილი დღის წესრიგი შეტანილი შენიშვნის გათვალისწინებით. /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

საკითხების განხილვის დაწყებამდე სიტყვა მოითხოვა ნ. მურაკაშვილმა და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, საპრივატიზაციო ნუსხაში შატანილი ობიექტების შესახებ, საქმის კურსში იყვნენ ჩაყენებული იმ სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეობა, რომლის ტერიტორიაზეცაა განთავსებული ესა თუ ის ობიექტი. საკითხის განხილვის დროს კი, სესიაზე, მაჟორიტართან ერთად დაესწროს ერთი მაინც მოსახლე, რომელიც გამოთქვამს სოფლის მცხობრებთა აზრს. აქვე მან ალ. სირბილაშვილს მიმართა თხოვნით, რომ იქნებ, ბიუროს სხდომის გამართვის თარიღიც აცნობონ-ხოლმე მას, რადგან სურვილი აქვს სიღრმისეულად გაეცნოს და შეისწავლოს სესიაზე განსახილველი საკითხები, პროექტები.

– ალ. სირბილაშვოლმა აღნიშნა, რომ ნ. მურაკაშვილის წინადადებები ნამდვილად მისაღებია და პრაქტიკულად განხორცილებადიც, რასაც სამომავლოდ გაითვალისწინებენ.

მოისმინეს:
1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ.

ნ. ქაჩლიშვილმა სხდომაზე დამსწრეთ გააცნო პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:
– ე. ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ ს. შაშიანის ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით. სამუშაოების ბოლომდე მისაყვანად საჭიროა მხოლოდ 2,0 ათასი ლარი. იქნებ, გამოინახოს რაიმე საშუალება ამ თანხის გამოსაყოფად.

– გ. პეტრუზაშვილი მას დაპირდა, რომ უახლოეს მომავალში აუცილებლად გათვალისწინებულ იქნება ე. ბოკუჩავას თხოვნა.
გ. პეტრუზაშვილმა აქვე დასძინა, რომ სუბსიდია გაეზარდა არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირს – „გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებას“. ეს გამოწვეულია ზამთრის სეზონის დადგომით (ბაღების შეშით მომარაგების) და ამ ეტაპზე, რამდენიმე საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობით.

– ე. ბოკუჩავამ აღნიშნა, რომ ს. შაშიანის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ შესაკეთებელია კედელი, რამაც შეიძლება, საფრთხე შეუქმნას ბავშვებს.

– ხ. ჭონიაშვილმა აღნიშნა, რომ ს. ველისციხეში, ერთ-ერთ ადგილზე არის ამოთხრილი ორმო, რომელიც წვიმის შედეგად ივსება წყლით და აფერხებს გზაზე ტრანსპორტის მოძრაობას. ეს არის გარე განათების ბოძის ადგილი, რომელიც დაზიანდა და უნდა გამოცვლილიყო ახლით. მან თხოვნით მიმართა გამგებლის მოადგილეს, იქნებ,

დაინტერესდნენ აღნიშნულით და თუ ბოძია გამოსაცვლელი, დროულად მოხდეს ამის შესრულება.

– გ. პეტრუზაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებლად დაინტერესდება საკითხით, მაგრამ ამ ეტაპზე ის მიხვდა, რაზეც არის საუბარი და დარწმუნებულია, რომ ეს არის არა მათი, არამედ ენერგოდისტრიბუციის პრობლემა.

– ალ. სირბილაშვილმა თხოვნით მიმართა გ. პეტრუზაშვილს, რომ თანხების მოძიების შემთხვევაში, უახლოეს მომავალში, გათვალისწინებულ იქნას ქ. გურჯაანის საბავშვო ბაღების სავალალო მდგომარეობა.

– ალ. ინანაშვილმა აღნიშნა, რომ ყველასთვის ცნობილია ს. მელაანის ტერიტორიაზე არსებული მილების გაყიდვის თაობაზე, რის გამოც დიდი თხოვნა აქვს, რომ ამ გზით მოძიებული თანხების ხარჯზე შეკეთდეს სოფლის სასმელი წყლის სისტემა.

– გ. პეტრუზაშვილმა აღნიშნულის შესახებ მოახსენა, რომ თანხაში გათვალისწინებული იქნება ქსელებიც.

კ. ნაპირელმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ და ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობაზე.

კენჭი უყარეს,

დაადგინეს:

დამტკიცდეს პროექტი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №6 დადგენილებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ“ წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოიმსინეს:

2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ნ. ქაჩლიშვილმა წარმოადგინა პროექტი.

კენჭისყრის შედეგად

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილება გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2010 წლის 28 იანვრის №3 განკარგულებაში „გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების 2010 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ და პროექტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით. (დანართი თან ერთვის).

/მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:

3. საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

ივ. ნატროშვილმა წარმოადგინა პროექტი „საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ნუსხაში შედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს. ვეჯინში მდებარე შენობა-ნაგებობები და მათზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი.

გ. პეტრუზაშვილმა ისაუბრა ს. ვეჯინში არსებული პანსიონატის შენობების გაყიდვის შედეგად მიღებულ პერსპექტივებზე. რომ იქ ჩაიდება დაახლოებით სამი მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია. გამოცხადებული აუქციონიც შესაბამისად, იქნება პირობიანი.

– პ. გველუკაშვილმა აღნიშნა, რომ ნამდვილად უნდა გაიყიდოს, რადგან ეს ობიექტი უპატრონობისგან ნგრევის პირასაა უკვე მისული და ნადგურდება.

კენჭისყრის შედეგად
დაადგინეს:
დამტკიცდეს პროექტი წარმოდგენილი სახით. /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

მოისმინეს:
4. ზაქარია იაგანაშვილის მივლინებაში წასვლის შესახებ.

დ. გოგებაშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი და ღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე, ზაქარია იაგანაშვილის მ/წ 3-5 ოქტომბერს მიდის მივლინებაში ქ. ბრიუსელში, ევროკომისიის ეგიდით მოწყობილ ღია კარის დღეებში მონაწილეობის მისაღებად.

კენჭისყრის შედეგად, ერთმად
დაადგინეს:
მივლინებულ იქნას ქ. ბრიუსელში ევროკომისიის ღია კარის დღეებზე მონაწილეობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ზაქარია იაგანაშვილი ა.წ. 3 ოქტომბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით.

მოისმინეს:
5. ს. ველისციხის ერთ-ერთი ქუჩისთვის აფხაზეთში გმირულად დაღუპილი იოსებ ფხაჭიაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

დ. გოგებაშვილმა სხდომაზე დამსწრეთ მოახსენა, რომ შემოსულია ს. ველისციხის მცხოვრებთა წერილობითი განცხადება იმის შესახებ, რომ სურვილი აქვთ, სოფელში, ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპილი, ს. ველისციხის მკვიდრის, იოსებ ფხაჭიაშვილის სახელი.

კენჭი უყარეს,
დაადგინეს:
დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ს. ველისციხეში მდებარე ერთ-ერთი ქუჩისთვის, ამავე სოფლის მკვიდრის, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპილი იოსებ ფხაჭიაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. /მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0/

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ
თავმჯდომარის მოადგილე: **ალექსანდრე სირბილაშვილი**